თქვენამდე ერთ კაცს ჰქონდა ჭრილობა, მან ვეღარ აიტანა ტკივილი, აიღო დანა და თავისი ხელი გადაიჭრა. სისხლდენა არ შეწყვეტილა, სანამ არ მოკვდა. უზენაესმა ალლაჰმა თქვა: «ჩემმა მონამ საკუთარი თავი ჩემზე წინ დააყენა (ანუ საკუთარი სიცოცხლე თვითონვე დაასრულა). ამიტომ, მე სამოთხე მას ავუკრძალე

ალ-ჰასან ალ ბასრიმ თქვა: «ჩვენ გადმოგვცა ჯუნდაბ იბნ აბდულლაჰმა (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) ამ მეჩეთში, და მას შემდეგ, რაც ეს გვიამბო, არ დაგვვიწყებია. ჩვენ არ გვეშინია, რომ ჯუნდაბმა ცილი დასწამა მოციქულ მუჰამმადს (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) მან თქვა: ალლაჰის მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: «თქვენამდე ერთ კაცს ჰქონდა ჭრილობა, მან ვეღარ აიტანა ტკივილი, აიღო დანა და თავისი ხელი გადაიჭრა. სისხლდენა არ შეწყვეტილა, სანამ არ მოკვდა. უზენაესმა ალლაჰმა თქვა: «ჩემმა მონამ საკუთარი თავი ჩემზე წინ დააყენა (ანუ საკუთარი სიცოცხლე თვითონვე დაასრულა). ამიტომ, მე სამოთხე მას ავუკრძალე».

[სანდო (საჰიჰ)] [შეთანხმებული]

მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) გვაუწყა, რომ ჩვენამდე ერთ კაცს ჭრილობა მიადგა, მან ვერ მოითმინა ტკივილი და მოთმინება დაკარგა, აიღო დანა, ხელი გადაიჭრა და სიკვდილი დააჩქარა. სისხლდენა არ შეწყდა, სანამ არ მოკვდა, ალლაჰმა უზენაესმა თქვა: ჩემმა მონამ საკუთარ სიცოცხლეს თვითონვე დაუსვა წერტილი. ამიტომ, მე მას სამოთხე ავუკრძალე.

https://sunnah.global/hadeeth/ka/show/2981